

## ნათელა მირიანაშვილი

### ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში

(თარგმნითი ლექსიკონების მიხედვით)

#### 1. წითელი ფერი

იმ შეგრძნებათა შორის, რომელსაც ჩვენ გარე სამყარო გვაწვდის, საკმაოდ დიდი ადგილი უკავია მხედველობითს შეგრძნებებს, ხოლო ამ უკანასკნელთა შორის — ფერის შეგრძნებას.

მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლებმა დიდი ხანია შენიშნეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ფერს ადამიანისათვის.

მეცნიერები მრავალი საუკუნის მანძილზე ანალიზისა და ექსპერიმენტის გზით ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ ფერის საიდუმლოებას.

როგორც ცნობილია, ფერთა შესწავლაში მნიშვნელოვანი შედეგები მიიღეს ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში არისტოტელემ, შუა საუკუნეებში კი ლეონარდო და ვინჩი და სხვებმა<sup>1</sup>.

ნიუტონამდე თითქმის უცვლელად მოიტანა ფიზიკამ არისტოტელეს ტრადიციები. ფიქრობდნენ, რომ ფერები წარმოიქმნებიან სინათლის შერევით სიბნელესთან სხვადასხვა პროპორციებით<sup>2</sup>.

XVII საუკუნეში ფერის პრობლემა იმდენად მკვეთრად იყო დაყენებული, რომ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება გარდუვალი გახდა.

სწორედ ამ დროს, 1669 წელს, ნიუტონმა კემბრიჯის უნივერსი-

<sup>1</sup> Морис Дерибере, Цвет в деятельности человека, М., 1964, გვ. 3; Вавилов С. И., Исаак Ньютон. М.-Л., 1945, გვ. 32, 33.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 30.

ტეტში წაიკითხა ლექციების კურსი ოპტიკაში<sup>3</sup>; ამ ლექციებმა გადატრიალება მოახდინა მეცნიერებაში. როგორც ს. ვავილოვი წერს: „ფერადი მოვლენების ახირებულმა, სუბიექტურმა დარგმა, რომელიც ათასი წლების განმავლობაში გაუბრბოდა მეცნიერთა მისწრაფებას მოწესრიგებისაკენ, უცბად გამოამჟღავნა თავისი რაოდენობრივი არსი და ამიერიდან სრულიად დაემორჩილა ზუსტ მეცნიერულ ანალიზს“<sup>4</sup>.

რუსეთში XVIII საუკუნეში ფერის პრობლემით დაინტერესდა მ. ლომონოსოვი<sup>5</sup>.

ფერების შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა XIX—XX საუკუნეებში. გამოქვეყნდა არაერთი შრომა, შედგა მრავალი ატლასი და სკალა, რომლებიც პრაქტიკულ მიზანს ისახავდნენ.

ფერთა პირველი ალბომები შეიქმნა საფრანგეთში. ეს იყო ფერთა რაციონალური კლასიფიკაციის პირველი ცდები.

რუსეთში ფერთა პირველი სკალა შექმნა პ. მიშჩენკომ იტალიელ პ. ა. საკარდოს სკალის მიხედვით<sup>6</sup>.

ფერისა და ელფერის 105 ნიმუში მოჰყავს თავის სკალაში ა. ბონდარცევს<sup>7</sup>. ამ სკალის ნაკლი ის არის, რომ ფერები განლაგებულია უსისტემოდ, რაც აძნელებს სკალის გამოყენებას.

გ. ავთანდილოვის ფერთა სკალა 107 ფერს შეიცავს<sup>8</sup>. იგი გათვალისწინებულია ექიმებისა და ბიოლოგებისათვის; მას დართული აქვს ფერთა ნომენკლატურა ლათინურ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. ახლავს ფერთა სახაზავი ფერისა და ელფერის 47 ნიმუშით და გათვალისწინებულია მასში მოცემული ფერების შესასწავლი ობიექტის ფერთან შესადარებლად.

ცნობარის ტიპის სახელმძღვანელოს წარმოადგენს ე. რაბკინის „ფერთა ატლასი“, რომელიც ფერის ფიზიკური განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს<sup>9</sup>.

<sup>3</sup> Исаак Ньютон, „Лекции по оптике“, Изд. АН СССР, 1946.

<sup>4</sup> ს. ი. ვავილოვი, თვალი და მზე, თბ., 1953, გვ. 31.

<sup>5</sup> Ломоносов М. В., Сочинения, т. II. Слово о происхождении света, новую теорию о цветах представляющее, июля 1 дня 1756 года говоренное. СПб., 1847.

<sup>6</sup> Мищенко П. Н., Шкала цветов, М., 1916.

<sup>7</sup> Бондарцев А. С., Шкала цветов, М.—Л. 1954.

<sup>8</sup> Автандилов Г. Г., Пособие для определения цвета. Нальчик, 1964.

<sup>9</sup> Рабкин Е. Б., Атлас цветов. М., 1956.

ფერები ორ ჯგუფად იყოფა — ქრომატულ და აქრომატულ ფერებად. აქრომატულ ფერებს მიეკუთვნებიან: თეთრი, შავი და რუხი (ნაცრისფერი). უკანასკნელი წარმოადგენს გარდამავალ ფერს თეთრსა და შავს შორის და მიიღება თეთრი და შავი ფერების სხვადასხვა პროპორციებით შეზავების შედეგად. აქრომატული ფერი უამრავია, მაგრამ თვალს შეუძლია განასხვავოს მხოლოდ 300-მდე<sup>10</sup>.

დანარჩენი ფერები ქრომატულებს მიეკუთვნებიან. მათი რიცხვი გაცილებით მეტია. ს. კრავკოვი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ატლასში მოცემულია ქრომატული ფერის 2000-ზე მეტი ნიმუში<sup>11</sup>, თუმცა ადამიანის თვალს შეუძლია განასხვავოს გაცილებით მეტი ფერი. კრავკოვი მიუთითებს, რომ ზოგი ავტორის მიხედვით ეს რიცხვი უახლოვდება 13000-ს<sup>12</sup>. ნ. ნიუბერგი აღნიშნავს, რომ ხელსაყრელ პირობებში ადამიანის თვალს შეუძლია გაარჩიოს ფერის 100-დან 300-მდე სხვადასხვა ელფერი. აქედან გამომდინარე, ფერის სხვადასხვა ელფერის საერთო რიცხვი ათეული ათასობით იზომება<sup>13</sup>. ვ. შარონოვის აზრით, ფერის ელფერთა რიცხვი, რომელსაც თვალი გამოყოფს სპექტრში, აღწევს 100-დან 200-მდე<sup>14</sup>.

გ. ავთანდილოვი და მ. დერიბერე მიუთითებენ რ. პოლისა და ა. მაერსის ფერთა ატლასზე, რომელიც 1930 წელს გამოქვეყნდა და რომელშიც 7000-მდე ფერისა და ელფერის ნიმუშია მოყვანილი; ამათგან მხოლოდ 4000-ს აქვს დასახელება<sup>15</sup>. როგორც ვ. მოსკოვიჩი აღნიშნავს, ეს ატლასი ერთ-ერთი სრულთაგანია<sup>16</sup>. როგორც ჩანს, ყოველი ელფერის დასახელება შეუძლებელია მათი სიმრავლის გამო.

უკანასკნელ ხანებში ენათმეცნიერებაშიც შეიმჩნევა დიდი ინტერესი ფერთა შესწავლისადმი.

ფერთა დასახელება ენაში რთულ სისტემას ქმნის. ამ თვალსაზ-

<sup>10</sup> Е. Б. Рабкин, Е. Г. Соколова, Ю. В. Фрид, Н. Н. Ковальский, Руководство по рациональному цветовому оформлению. М., 1964, гл. 5.

<sup>11</sup> Кравков С. В., Цветовое зрение. 1951, гл. 14, 16.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 16.

<sup>13</sup> Нюберг Н. Д., Измерение цвета и цветовые стандарты, М., 1933, гл. 8.

<sup>14</sup> Шаронов В. В., Свет и цвет. М., 1961, гл. 113.

<sup>15</sup> Г. Автандилов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 7; Морис Дерибере, Цвет в деятельности человека. Изд. литературы по строительству, М., 1964, гл. 16.

<sup>16</sup> Москович В. А., Система цветообозначений в современном английском языке. Журн. «Вопросы языкознания», 1960, № 6, гл. 83.

რისით სხვადასხვა ენები საკმაოდ დიდ სხვაობას გვიჩვენებენ. ეს შეეხება როგორც ფერის და ელფერის გამოყოფას, ისე მათი აღნიშვნის საშუალებებს.

ფერის აღნიშვნელ საშუალებათა შედარებითი შესწავლა სხვადასხვა ენაში ლინგვისტიკის ერთ-ერთი ტრადიციული თემაა. ვ. ლეტენბაუერი აღნიშნავს, რომ „სხვადასხვა ენის განხილვა მიმართული უნდა იყოს შესასწავლი ენის შეცნობის გაფართოებისა და ცალკეულ ენებს შორის ფერთა სამყაროს სულიერი აღქმის განსხვავების აღმოჩენისაკენ“<sup>17</sup>.

ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა ქართული და რუსული ენების ფერთა აღნიშვნელი ლექსიკა ამ ენათა თარგმნითი ლექსიკონების მიხედვით. ამ მიზნით გავაანალიზეთ ის მასალა, რაც წარმოდგენილია, ერთი მხრივ, ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონსა<sup>18</sup> და, მეორე მხრივ, რუსული ენის განმარტებითს ლექსიკონებში<sup>19</sup>.

მასალის შესადარებლად გამოყენებულა შემდეგი ქართულ-რუსული ლექსიკონები: დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონი<sup>20</sup>, ნიკო ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი<sup>21</sup>, ქეთევან დათიკაშვილის სამტომიანი ქართულ-რუსული ლექსიკონი<sup>22</sup> და რუსულ-ქართული ლექსიკონები: დავით ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი<sup>23</sup>, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონი<sup>24</sup> და საქართვე-

---

17 В. Леттенбауэр, Названия цвета в славянских языках. IV международный съезд славистов, II. გვ. 145.

18 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არს. ჩიქობავას საერთო რედაქციით. I—VIII. თბ., 1950—1964 (ტექსტში შემოკლებით: მძლ).

19 კერძოდ: Толковый словарь русского языка под редакцией проф. Д. Н. Ушакова, I—IV, М., 1935—1940 (ტექსტში შემოკლებით: Ушак.) და Словарь современного русского литературного языка, I—XVII, М.—Л., 1950—1963 (ტექსტში შემოკლებით: ССРЛЯ).

20 დავით ჩუბინოვი, ქართულ-რუსული ლექსიკონი. სანკტპეტერბურგა. 1887 (ტექსტში შემოკლებით: დ. ჩუბინ.).

21 ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი. თბ., 1961 (ტექსტში შემოკლებით: ნ. ჩუბინ.).

22 ქეთევან დათიკაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, I—III, თბ., 1953—1967 (ტექსტში შემოკლებით: დათიკ.).

23 Давид Чубинов, Русско-грузинский словарь. СПб., 1846 (ტექსტში შემოკლებით: Д. Чубин.).

24 რუსულ-ქართული ლექსიკონი პ. ქავთარაძის რედაქციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1927 (ტექსტში შემოკლებით: უნივ.).

ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ შედგენილი სამტომიანი რუსულ-ქართული ლექსიკონი<sup>25</sup>.

მასალის უკეთ გაანალიზების მიზნით მიზანშეწონილად ვცანით ფერის აღმნიშვნელი სიტყვების დაჯგუფება რამდენიმე ფერის მიხედვით. ესენია: წითელი, თეთრი, შავი, მწვანე, ლურჯი, ყვითელი, რუხი, იისფერი.

ფერების დაჯგუფება, რა თქმა უნდა, პირობითია და სირთულეს შეიცავს იმ მხრივ, რომ მათ შორის არ არის მკვეთრი ზღვარი, არსებობს უამრავი გარდამავალი ფერი და ხშირად ჰერს ამა თუ იმ ფერის აღმნიშვნელი სიტყვის შეტანა რომელიმე ჯგუფში. მაგ.: „**ხახვისფერი** — რაც ფერით ხახვს მოგვაგონებს — მკრთალი მოლურჯო-მოწითალო (ქმბლ, VIII)“; „**უნახისფერი** — რაც ფერით უნახს მოგვაგონებს, — მოყვითალო-მოყავისფრო წითელი (ქმბლ, VI)“; რუსული «**персиковый** — цвета кожуры спелого персика; красновато-желтый (ССРЛЯ, IX)». არის შემთხვევები, როდესაც ერთი სიტყვა აღნიშნავს ორ ან მეტ ფერს. მაგ.: „**ყვითელი** 1. შემოწითალო (ფერი); ყვითელი შალის მოქსოვა ვიცოდით შინაური მატყლისა, თავად ცხვრები იყვნენ იმფერი, წაბლისფერივით. შინამრეწვ. 2. შავთეთრი, რუხი, მუქი ნაცრისფერი: შალს ვქსოვდით შავს — სადას, ანდა თეთრ და შავ ძაფს ავურევდით ერთმანეთში, გამოვიდოდა **ყვითელი**. შინამრეწვ. // ჭალარა: ყმაწვილები იყვნენ; თმაში- კი ყვითელი გარეოდათ. ნ. ლორთქ. (ქმბლ. VI)“. ან ავიღოთ სიტყვა „**ხორცისფერი**: 1. რაც ფერით აღამიანის ხორცს მოგვაგონებს, ხორცთან შეხამებული ფერი, — პირისფერი: ხორცისფრად შეღებვა ენდროს ნამღებროთი. შინამრეწვ. 2. მოვარდისფრო ჩალისფერი: წვივზე სირმასავით ბრწყინავს... ხორცისფერი აბრეშუმის წინდა. ა. ქუთათ. (ქმბლ, VIII)“. ამიტომ **ხორცისფერი** შევიტანეთ წითელი და ყვითელი ფერების ჯგუფებში.

ამ სტატიაში მოკლედ წარმოვადგენთ წითელი ფერისა და მის ნაირსახეობათა აღმნიშვნელ სიტყვებს.

ქართულ წითელ- და რუსულ **красн-** ფუძეთა ძირითადი მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა. წითელი არის სისხლისფერი, ჭიაფერი, ძოწისფერი: „გუგუა... ისე შინ არ შემოვიდოდა, რომ ცოლისთვის ან ჩურჩხელის ნაჭერი, ან წითელი ვაშლი არ მოეტანა. ა. ყაზბ. გახსოვდეს, რომ წითელ ცხენზე ვზივარ და წითლები მაცვია. გ. ბარნ. (ქმბლ, VIII)“.

<sup>25</sup> რუსულ-ქართული ლექსიკონი, I—III. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია. თბ., 1956—1959 (ტექსტში შემოკლებით: რქლ).

„**Красный**—имеющий окраску одного из основных цветов радуги, ряда оттенков от розового до коричневого (**Ушак. I**)»; «Цвета крови и его близких оттенков: Ямщик сидит на облучке В тулупе, в красном кушаке. Пушкин. Подле нее лежал целый пук еще мокрых от росы красных и белых роз. Тург. (ССРЛЯ, V)“. ორივე ენაში აქვს გადატანითი მნიშვნელობა — „რე ვოლუციური“ და იხმარება საფრანგეთის რევოლუციის დროიდან, როდესაც წითელი ფერი გახდა თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო<sup>26</sup>.

რევოლუციამდე წითელი აღნიშნავდა აგრეთვე ქალაქის თუმბინანს ორივე ენაში. ქართულ ენაში კი რუსულისაგან განსხვავებით ძველად წითელი აღნიშნავდა ოქროს (ღირებულების საზომად): „სამოცი ლიტრა წითელი, აწონით, არნაკლულითა“ (**რუსთ.**).

რუსულ **красный**-ს კი შემდეგი განსხვავებული მნიშვნელობები აქვს: «1. красивый, нарядный, украшенный (уст., поэт. и нар.-поэт.): Не выпьем мы заветной чашей Здоровье ваших красных жен. Пушкин. 2. почетный, ценный, дорогой (нар.-поэт.): Попасть на барский, или красный двор, как преимущественно называли его крестьяне, можно было не иначе, как через большие ворота. Григор. 3. Ясный, светлый (нар.-поэт.): С наступлением красных летних дней сделалось веселее. Салт. 4. счастливый, радостный, безмятежный (уст.): Подруга возраста златого, Подруга красных детских лет, Тебя ли вижу, взоров свет... Пушкин.».

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ჩვენ გამოვეყავით წითელი ფერის ჯგუფის წევრები: აგურისფერი, ალისფერი||ალური, ბორღო, ენდროსფერი, ვარდისფერი, კაპრაში, ლალისფერი||ლალისფერა, მარწყვისფერი, მარჯნისფერი, მეწამული. პირისფერი, უანგისფერი, უოლოსფერი||უოლისფერი, უდალი, სისხლისფერი, სპილენძისფერი, უნაბისფერი, ღვინისფერი. ყირმიში||ყირმიშა, შვინდისფერი||შინდისფერი, ცეცხლისფერი, ძოწეული||ძოწისფერი, ქერმისფერი, ჭიაფერი, ხახვისფერი, ხორცისფერი, ჭიგრისფერი, ჯორა||ჯორაფერი.

რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით გამო-

<sup>26</sup> Брагина А. А., «Красный». Журн. «Русская речь», 1970, 2, 83. 79.

ოკოფა: ალყ, ბაგრეც//ბაგრეცოვყ//ბაგროვყ//ბაგრყნეც//ბაგრყნყ, ბორდო//ბორდოვყ, ბრუსნყჩნყ, ვყნყნე, გრანატოვყ, ჯარყყ, კარმაცინნყ, კარმყნყ, კყნოვარნყ, კყრყყჩნყ//კყრყყჩატყ, კლყკვენნყ, კორალლოვყ//კორალყნყ, კოშენყლევყ//კოშენყლყნყ, კროვავყ//კროვყნოყ, კუმაცნყ//კუმაცევეყ, მალინოვყ, მარენოვყ//მარენნყ, მედნყ//მედაყნყ//მედაყნყსტყ, მყნდალყნყ, ოგნეოვყ//ოგნენნყ//ოგნყსტყ, პერყკოვყ, პლამენნყ, პორფყრნყ, პუნცოვყ, პურპურ//პურპურნყ//პურპუროვყ, რდაყნყ, რჯავყ, როვოვყ, რუბყნოვყ, რუმყნყ, რყჯყ, რყბყნოვყ, სვეკოლყნყ, სურყკოვყ, ფუკსყნოვყ, ყერვლენყ//ყერვონნყ//ყერვყატყ//ყერმნყ.

როგორც ვხედავთ, საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი ჯგუფია და მისი წევრები ზემოთ დასახელებული თარგმნითი ლექსიკონების მიხედვით ერთი ენოდან მეორეზე სხვადასხვა სახით გადმოიცემა: 1. ზუსტი შესატყვისით, 2. აღწერითი წარმოებით, 3. განსხვავებული, განსაკუთრებული აგებულების ფუძით.

### 1. ზუსტი შესატყვისი აქვს შემდეგ სიტყვებს:

აგურისფერი — კყრყყჩნყ ცვე (დ. ჩუბინ.), კყრყყჩნყ (ო ცვე), კყრყყჩნო გვეტა (დათიკ. 1); ალისფერი — ალყ (დ. ჩუბინ.), ალყ ცვე (ბ. ჩუბინ.); ალყ (ო ცვე), ალო გვეტა (დათიკ. I); ვარდისფერი — როვოვყ (ო ცვე) როვო გვეტა (დათიკ. I); ლალისფერი — რუბყნოვყ (ო ცვე) (დათიკ. III); მეწამული — ყერვლენყ, ყერმნყ (ბ. ჩუბინ.); პურპურნყ, პურპუროვყ (დათიკ. II); ყირმიზი — კრასნყ (დ. ჩუბინ.); ალყ, კრასნყ (დათიკ. III); მარჯნისფერი — კორალლოვყ (ო ცვე) (დათიკ. II) და ძოწისფერიც არის კორალლოვყ (დათიკ. III), რადგან ძოწი იგივე მარჯანია<sup>27</sup>. საბას ლექსიკონში ვკითხულობთ: „ძოწი არს მსგავსი რამე მდელიოსი ჯენუას ზღვასა შინა, ვითა შვლისა რქანი, ბროწეულის ყვავილის ფერი, არამედ შავი და თეთრიც იპოების; რა სიღრმით ამოიღების, უმაგრეს იქნების ყოელთა ქვათასა. კრიალესენად დასთლიან და სხვა რიგადაც მრავლად საქმარ არს“<sup>28</sup>. და-

<sup>27</sup> მებლ, VIII.

<sup>28</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანშიძის რედაქციით, ტფილისი, 1928.

ვით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში ძოწი განმარტებულია როგორც წითელი მარჯანი და თარგმნილია როგორც коралл. ასე რომ, ძოწი, ძოწისფერი აღნიშნავს წითელ ფერს, მარჯნის ფერს: „ძოწნი ბაგენი, ჩემნი მდაგენი“ (ბეს.); „ძოწის ფერად ირიქრაჟა ცამან და პეპელას აღვიძებდა ქარი“ (ანა კალანდ.). მარჯანიც იხმარება პოეზიაში წითელი ფერის ეპითეტად: „ეგ რა ღიმს ვხედავ მარჯნის ტუჩებზე“ (ვ. ბარნ.).

**Гранатовый** კი არის მუქი წითელი ფერი (гранатовый — „имеющий вишнево-красный цвет“. Ушак. I). მინერალოგიის ტერმინოლოგიაში<sup>29</sup> гранат ფუძის შესატყვისია გრანატი (და არა ძოწი, როგორც ეს სამტომიან რუსულ-ქართულ ლექსიკონშია).

საინტერესოა ჟოლოსფერი||ჟოლისფერი, რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით არის მოწითალო ვარდისფერი — „გაშლილ ჩრდილოეთის ღამეს ჟოლისფერი ვარსკვლავები ესხა“ (ი. მოსაშვ.) — და რომელსაც ქ. დათიკაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში (III) თარგმანი აქვს „малиновый (о цвете), малинового цвета: ჟოლოსფერი ხავერდი малиновый бархат, бархат малинового цвета“. Малиновый-ს შესატყვისად დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში გვაქვს მაყვლისფერი, უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონში — ჟოლოსფერი, შინდისფერი, ხოლო რუსულ-ქართულ სამტომიან ლექსიკონში — შვინდისფერი. ეს, ეტყობა, გამოწვეულია იმით, რომ რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით малина-ს აქვს მუქი წითელი ნაყოფი და შესაბამისად малиновый განმარტებულია როგორც მუქი წითელი — „темнокрасный, цвета малины“ (Ушак.) და „темнокрасный с фиолетовым оттенком“ (ССРЛЯ, VI).

მაგრამ იმავე 17-ტომიან ლექსიკონში „алый“ სიტყვა-სტატიაში მოყვანილია ა. ოსტროვსკის ილუსტრაცია: „С подружками по алую малину, По черную смородину ходить Вот что мило Снегурочке“. ვ. დალის განმარტებით ლექსიკონში малиновый განმარტებულია ასე: „темно-алый, с небольшою просинью“<sup>30</sup>; ე. ი. დალის ლექსიკონის მიხედვით малиновый არ არის მუქი წითელი, როგორც ეს რუსული ენის სხვა განმარტებითს ლექსიკონებ-

<sup>29</sup> გეოლოგიური ტერმინოლოგია: მინერალოგიის ტერმინები. თბ., 1941.

<sup>30</sup> Вл. Даль, Толковый словарь живого великорусского языка. I—IV. СПб., М., 1903.



შია მოცემული და მას უნდა შეესატყვისებოდეს ქართულში უო-  
ლოსფერი. მით უმეტეს, რომ ასევეა რუსულ-ფრანგულ და რუსულ-  
გერმანულ ლექსიკონებშიც: малиновый ნათარგმნია როგორც უო-  
ლოსფერი<sup>31</sup>. ამრიგად, ამ მონაცემების მიხედვით, ჩვენი აზრით, ма-  
линовый-ს შესატყვისია უოლოსფერი, როგორც ეს უნივერსიტეტის  
რუსულ-ქართულ ლექსიკონშია წარმოდგენილი.

ამავე ჯგუფში განვიხილავთ ამა თუ იმ ფერის ნაკლები ინტენ-  
სივობის აღმნიშვნელ სიტყვებს, რომლებიც ქმნიან თავისებურ და-  
ნამატს<sup>32</sup>. წითელი ფერის ჯგუფში ასეთებია: მოალისფრო, მოვარ-  
დისფრო, მოწითალო, (მოწითანო), მოწითლო, წაწითალო: „ცეცხ-  
ლის მოწითალო აღი არღვევდა ამ შავად დაბურულ ჰაერს. ნ. ლომ.;  
(მოხუცს) გვერდით მოსდევდა... მოწითანო ძალი. ა. ყაზბ.; მიჰკრო-  
ბია კუქუზნაკს კუდი მოწითლო, ფხიანი. კ. მაყ. (ქმბლ., V)“. ქარ-  
თულ ენას ახასიათებს პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება მო-, წა-  
პრეფიქსებითა და -ო სუფიქსით, რუსულ ენას კი — სუფიქსური  
წარმოება -оват-, -еват-, -ат-. -ист- სუფიქსებით: розоватый,  
красноватый, рыжеватый, багрянистый:

«Солнце подымалось все выше и выше; сквозь мглу оно  
казалось красноватым и нещадно палило. Сераф. Кое-где  
уже вспыхнули огоньки костров, и вокруг них видны фигуры  
людей, красноватые в блеске огня. Горьк. (ССРЛЯ, V)».

Звезды гасли. В лиловом небе проступали розоватые  
края облаков. А. Н. Толст.

Наконец солнце взошло. Снежные просторы покрылись  
нежными розоватыми отсветами. Казакев. Волосы рыжева-  
тые, немного потемнее на затылке. Гонч. После обеда пода-  
ли кофе, жидкий, рыжеватый, прямо немецкий кофе. Тург.  
(ССРЛЯ, XII)».

აღსანიშნავია, რომ ოდნაობას ქართულში გადმოსცემს აგრეთვე  
გაორკეცებული ფუძე: წითელ-წითელი, თუმცა ფუძის გაორკეცებას

<sup>31</sup> Русско-французский словарь. М., 1969. Русско-немецкий словарь,  
М., 1960.

<sup>32</sup> Юрик В. Н., Опыт структурного анализа семантического поля  
цвета в русском и латышском языках. Ученые записки Латвийского гос.  
университета им. П. Стучки. Филологич. науки, т. XXV, вып. III. А. Рига,  
1958, გვ. 191.

სხვა ფუნქციაც აქვს — სიმრავლესაც გადმოსცემს: „იმისთანა ტვიცინა წითელ-წითელ თუმნიანებს მოგიტან, რომ თვალები ავიჭრე-ლოს“ (დ. კლდ.)<sup>33</sup>.

## 2. აღწერითი წარმოებით არის გადმოცემული:

**სისხლისფერი:** „მოვალთ, მოგვაქვს ჩვენი დროშა, ბრძოლის დროშა სისხლისფერი! გ. ქუჩ.“ ქ. დათიკაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში ასეა: „цвета крови, кроваво-красный“. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში შეიძლება უფრო ზუსტი შესატყვისის გამოყენება: **кровавый** და **кровяной**, რომლებიც გვხვდება რუსული ენის განმარტებითს ლექსიკონებში: „(Поэму) он намеревался издать в черной обертке, с заглавными буквами кровавого цвета. Тург. Солнце уж к краю подходит. в туман зашло. — большое, красное. кровавое стало. А. Толст. (ССРЛЯ, V)“.

ამ ჭგუფში განვიხილავთ აგრეთვე იმ ფერებს, რომლებიც ერთი ენიდან მეორეზე გადმოიცემიან დამხმარე სიტყვების მოშველიებით: **მკრთალი**, **ღია**, **ბაცი**, **მუქი**, რუსულში — **темно-**, **бледно-**, **светло-**, **ярко-**. მაგ.: „ღვინისფერი — темно-красный; темно-красного цвета (დათიკ. III); ღაჟღაჟა (რაც ღაჟღაჟებს) — ярко-красный (დათიკ. III)“. რუსულ **бордо-**ს უნივერსიტეტის რუსულ-ქართულ ლექსიკონში შეესატყვისება **მუქი წითელი**.

## 3. განსხვავებული, განსაკუთრებული აგებულების ფუძით გადმოიცემა:

**შვინდისფერი:** „შვინდისფერ ტუჩებს უფრო აწითლებს ჩამოშლილი ხშირი უღვაში. ი. გედევ. (ქმბლ. VII)“. ქ. დათიკაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში შესატყვისად აქვს: **темно-красный**; **вишневый цвет** (და არა **кизиловый**). **Вишнёвый** და **вишневый** გვხვდება მხოლოდ დავით ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში, სადაც მას შეესატყვისება **ალუბალის ფერი** (ეს უკვე აღწერითი თარგმანია).

**პირისფერი** აღნიშნავს **მკრთალ წითელს**, — **ვარდისფერს**: „აღმოსავლეთი პირისფრად შეღებილიყო. ეკ. გაბ.; ან: „ეონას თეთრი კაბა ეცვა, პირისფრად დაწინწკლული. ვ. ბარნ. (ქმბლ. VI)“. დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში თარგმანი აქვს: „телес-

<sup>33</sup> ბ. ფოჩხუა. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბ., 1974, გვ. 143.

ный цвет, бланжевый“, ხოლო ქ. დათიკაშვილის ლექსიკონში: „розовый цвет; розовый“, რაც, ჩვენი აზრით, უფრო ზუსტია, რადგან **телесный** არის желтоватый с розовым оттенком: „(Роза Абрамовна) подробно объяснила, что... теперь носят платья „шениз“, чулки телесного оттенка. А. Толст. (ССРЛЯ, XV)“. მით უმეტეს **телесный**-ს აქვს ზუსტი შესატყვისი — **ხორცისფერი** (მოვარდისფრო-ჩალისფერი): წვივზე სირმასავით ბრწყინავს... ხორცისფერი აბრეშუმის წინდა. ა. ქუთათ. (ქმბლ. VIII)<sup>34</sup>.

**ჟანგისფერს** განმარტება აქვს — **წითელმურა**: „როგორი მოხდენილი ამაღა ახლავს და ეს ჟანგისფერიც როგორ უხდება მათ თეთრ სამოსელს! შ. დად.; (საამს) ჟანგისფერი ედვა, ბოდმის ტვინი შეერყია, თვალები ამღვრეოდა. ვ. ბარნ. (ქმბლ. VI)“. დათიკაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში გადმოიცემა როგორც **красно-бурый**. ამ ფერზე მიუთითებს რუსულ ენაში სიტყვა „ржавый (красно-бурый): Сентябрь холодный бушевал, С деревьев ржавый лист валился. Тютч. (ССРЛЯ, XII)“.

**ჭიაფერი** არის წითელი ფერის საღებავი და წითელ ფერსაც აღნიშნავს: „(ასულს) მარჯვენა ხელის სალოკი თითი... ჭიაფერ ფუნჩულა ტუჩზედ მიედო. შ. არაგვ.“ ან კიდევ: „სისხლი ჩამოსდის დემურსა ტანზე ჭიაფრად, ჩქეფითა. ვაჟა (ქმბლ, VIII)“. ქ. დათიკაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში **ჭიაფერს** თარგმანი აქვს: „пунцовый (о цвете); пунцовый цвет: ჭიაფერი აბრეშუმი пунцовый (пунцового цвета) шелк“. სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაში **ჭიაფერის** შესაბამისად გვაქვს: 1. „**მუქი წითელი** — вермильон, суриково-красный. 2. **ბუჟენდი** — кошениль“<sup>35</sup>. **Кошениль** კირუსული ენის ყველა განმარტებითს ლექსიკონში არის წითელი ფერის საღებავი ნივთიერება და აგრეთვე ერთგვარი მწერი, რომლისგანაც ეს საღებავი მიიღება, ე. ი. **кошениль** ყოფილა **ბუჟენდი** და **ჭიაფერი** მიიღება **ბუჟენდისაგან**. ხოლო **ჭიაფერი** ლექსიკონების მიხედვით არის „кармин: яркокрасная краска, изготовляемая из кошенили (Ушак. I)“. რუსულ-ქართულ თარგმნითს ლექსიკონებშიც (დ. ჩუბინ., უნივ.) **кармин** არის **ჭიაფერი**, რუსულ-ქართულ სამტომიან ლექსიკონშიც — კარმინი, ჭიაფერი და შესაბამისად **ჭიაფერის** (ფერის მნიშვნელობით) უფრო ზუსტი თარგმანი იქნებოდა, ჩვენი აზრით, **карминный**, რომელიც იძებნება რუსული ენის ყვე-

34 ამ მნიშვნელობით **ხორცისფერს** განვიხილავთ ყვითელი ფერის ჯგუფში.

35 სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია. თბ., 1959.

ლა განმარტებითს ლექსიკონში — „яркокрасный, пунцовый: Фасады домов пылали последними карминными листьями дико-го винограда. Гладк. (ССРЛЯ, V)“.

თარგმანი არა აქვს შემდეგ სიტყვებს: მარწყვისფერი, სპილენძისფერი, უნაბისფერი, ცეცხლისფერი, ჭერმისფერი, ხახვისფერი, კაპრაში, ჯორა||ჯორაფერი, ენდროსფერი.

ენდროსფერი გვხვდება მხოლოდ სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაში, სადაც შესატყვისი აქვს „карминово-красный“. ენდროს თარგმნითი ლექსიკონების მიხედვით (დ. ჩუბინ., ნ. ჩუბინ.) არის მარენა. მარენა-საც ყველა რუსულ-ქართულ ლექსიკონში შეესატყვისება ენდრო, ხოლო კარმინ არის ჭიაფერი (დ. ჩუბინ., უნიც.) და არა ენდრო<sup>36</sup>. მით უმეტეს რუსულ ენაში არის სიტყვა „мареновый//маренный: напоминающий цветом марену: ярко-красный (ССРЛЯ, VI)“.

არ გვხვდება თარგმნითს ლექსიკონებში აგრეთვე სპილენძისფერი: „სპილენძისფერ დედაკაცს... მოაქვს მისთვის საუზმე. ქ. ბაქრ. ჩქარა დაეტყო მზიას ტყის ჰაერი: ლოყები დაუწითლდა, კულულებს ოდნავ სპილენძისფერი გადაეკრა. „ნორჩი ლენინელი (ქმბლ. VI)“. რუსულ ენას აქვს სიტყვები: „медный, медянистый“ და მოძველებული ფორმა „медяный — цветом подобный меди; красно-желтый: У детей поразительно яркий цвет глаз, белокурые, рыжие, каштановые, медные волосы. Первенц.“ ან კიდევ: (Базаров) начинал злиться, и лицо его приняло какой-то медный и грубый цвет. Тург. (ССРЛЯ, VI). სამტომიან რუსულ-ქართულ ლექსიკონში მედნისფერი თარგმნილია როგორც უანგისფერი<sup>37</sup>.

არც ცეცხლისფერი იძებნება თარგმნითს ლექსიკონებში: „მზემ მთის მაღალ მწვერვალებს ცეცხლისფერი ისრები ჰკრა. ვ. ბარნ. (ქმბლ. VIII)“. ცეცხლისფერის შესატყვისად შეიძლება გამოვიყენოთ «огненный, огневой, огнистый (отливающий краскамн огня, подобный огню по яркости, цвету; имеющий цвет огня, ярко-красный, оранжево-красный): (Улинька) с огнистым румянцем, ярко проступавшим сквозь веснушки, смотрела ему прямо в лицо. Гонч. Так для кого ж наряд, уборы И тенью огненной обхвачен стройный стан? Вязем. Над морской голубой целиною Развивается флаг огневой. Алым. (ССРЛЯ, VIII)».

<sup>36</sup> ამაზე ზემოთ გვქონდა საუბარი.

<sup>37</sup> ამაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

საინტერესოა, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ფონდში არ გვხვდება სიტყვა „ჭარხლისფერი“, მაგრამ **ჭარხალ-ფუცისაგან ნაწარომები ზმნები და ნაზმნარი სახელები** კი მრავლადაა. ასეთებია: **წამოჭარხლდება, წამოჭარხლება და წამოჭარხლებული**: „(ბეგი) ანთებულ წიფლის ჯირკს მიაშტერდა. გაცხუნდა, წამოჭარხლდა. პ. ჩხიკვ.; წამოჭარხლება, რომელიც დაეტყო ლოყებზე, ამტკიცებდა, რომ ცივების შემდეგ სიცხემ მოიცვა ის. ა. ყაზბ.; იმის წამოჭარხლებული ლოყები და გამშრალი ტუჩები აშკარად ამტკიცებდნენ, რომ საშინელი სიცხე უხარშავდა და უდაგავდა გულ-მუცელს. ა. ყაზბ. (ქმბლ. VIII)“.

**ჭარხლისფერს** ხშირად იყენებენ აგრეთვე ისეთ გამოთქმებშიც, როგორცაა: **ჭარხალივით გაწითლებული, ჭარხალივით წამოწითლებული, ჭარხალივით სახეწითელი, ჭარხალივით გაწითლდება, გაწითლებული, როგორც ჭარხალი** და ა. შ., სადაც ამ ფუძეს ემოციის გამაძლიერებელი როლი აკისრია. მაგ.:

ერთმანეთს შეხედნენ მათი თვალები და ორთავემ, ჭარხალივით წამოწითლებულ ღეზმა, თავები ძირს დახარეს. შ. არაგვ. (ქმბლ. VIII).

ლუბიდოსი ჭარხალივით გაწითლებულა (ივ. მაჩაბ. თარგმ.).

მაყვალაც, ჭარხალივით გაწითლებული, სახლში შევარდა

(ალ. ყაზბ.).

ნათლიაჩემი ისე გაწითლებულიყო, როგორც ჭარხალი

(ივ. მაჩაბ. თარგმ.).

მიუხედავად მანამდე მრისხანედ ცნობილი უფროსის სასოწარკვეთილი ყვირალისა, მიუხედავად მისი გააფთრებულის, ჭარხალივით გაწითლებული, ძალზე გამოცვლილი სახისა... ჯარისკაცები მაინც გარბოდნენ (ი. ავლ. თარგმ.).

როცა ამ უბრალო და უშინაარსო ლექსს ვინმე იტყოდა, ფოფოღია ჭარხალივით გაწითლდებოდა და კრებას შორდებოდა (ჭ. ლომთ.).

ანდრია ჭარხალივით წამოწითლებულიყო (ია ეკალ.).

მკითხველმა სირცხვილით ხმა ვეღარ ამოიღო, ჭარხალივით წამოწითლებულმა თავი ჩაღუნა (დ. მაჩაბ.).

კოჭლსა და ჭარხალივით სახეწითელ აბელს ორთაყვირბევივით მკლავები ჰქონდა (რ. გვეტ.)<sup>38</sup>.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ამ ფუძემ სიწითლე უფრო თვალსაჩინო და შთამბეჭდავი გახადა, ხოლო შედარება — უფრო ემოციური.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა **ჭარხლისფერი** გვხვდება მხოლოდ

<sup>38</sup> მაგალითები ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ფონდიდანაა ამოღებული.

სამტომიან რუსულ-ქართულ ლექსიკონში, სადაც **сизый нос** თარგმნილია როგორც **ჭარხლისფერი ცხვირი**.

**ჭარხლისფერი** ისეთივე ბუნებრივად ნაწარმოები სიტყვაა, როგორც **ენდროსფერი**, **ჟოლოსფერი**, **ჭერმისფერი**, **ხახვისფერი**, **უნაბისფერი** და სხვ. და არა თუ არაფრით განსხვავდება ამ ფორმებისაგან, არამედ ზოგიერთ მათგანზე უფრო კონკრეტული და ზუსტიც კია. ეს შეიძლება იმიტაც იყოს გაპირობებული, რომ აღნიშნული ფუძე სხვადასხვა სახით ვხვდება ცალკეულ სიტყვებსა თუ გამოთქმებში. ამას მხარს უჭერს რუსულ ენაში ხმარებული სიტყვა **свекольный**, რომელიც ამ ენისათვის სავსებით ბუნებრივია: «Сегодня присутствовало на приеме шесть местных баронесс со свекольными щеками, шесть дородных баронов напряженно стояли за их обсыпанными мукой париками. А. Н. Толст.

Солдат, у которого от ярости уши покраснели до свекольного цвета, старался оторвать руки девушки от своей добычи. Б. Полев. Одни деревья чуть-чуть распушились, на других еще только высыпали разбухшие почки и всякие бархатные червяки свекольного цвета. Фед. (ССРЛЯ, XIII)».

როგორც ვხედავთ, ქართული ენისათვის დამახასიათებელია ფერის აღმნიშვნელ ფუძეთა კომპოზიტიური წარმოება. წითელი ფერის ჯგუფის 31 სიტყვიდან 23 არის კომპოზიტი, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია „ფერი“: **აგურისფერი**, **მარჯნისფერი**, **პირისფერი**, **ჟანგისფერი**, **ალისფერი** და სხვ. ამ ტიპის კომპოზიტებში არსებითი სახელით წარმოდგენილი მსაზღვრელი კომპონენტი დგას ნათესაობით ბრუნვაში სრული დაბოლოებით. რუსულ ენას ამგვარ შემთხვევებში ქართულისაგან განსხვავებით ახასიათებს სუფიქსური წარმოება. **-ав-, -ов-, -ев-, -ёв-, -н-, -ян-** სუფიქსებით: **крававый, розовый, огневой, вишневый, медяной** და სხვ.

ახლა მოკლედ განვიხილავთ კუთვნილებითსა და განსაზღვრებითს კომპოზიტებს, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი არის ფერის აღმნიშვნელი ფუძე. ასეთია 110 ერთეული.

ცნობილია, რომ ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალება არის კომპოზიცია, რომელიც ფართოდაა გავრცელებული როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაში. ეს ნათლად ჩანს ფერის აღმნიშვნელ მასალაზეც. კომპოზიტთა შორის ყველაზე დიდია ის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის წითელ-ფუძე (84 ერთეული 110-დან): **გვერდწითელი**, **კანჭწითელი**, **სახეწითელი**, **კაბაწითელი**||**კაბაწითელა**, **ყელწითელი**||**ყელწითელა**, **ღაწვეწითელი**,

წითელქუდა, წითელქუდიანი, წითელჩოხიანი, წითელკრამიტისანი, წითელლენტიანი, წითელვარდებიანი, წითელნისკარტა, წითელსაყელოანი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ წითელ-ფუძე წარმოდგენილია კომპოზიტის როგორც პირველ, ასევე მეორე კომპონენტად. მაგ.: წითელთმიანი და თმაწითელი||თმაწითელა; წითელფეხება, წითელფეხიანი და ფენ-წითელი||ფენწითელა; წითელკანჭიანი და კანჭწითელი. რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით ასეთი კომპოზიტია 32 და აქედან 22 არის „красн“-ფუძიანი: краснокожий, красноперый, красноногий, краснокрылый, красноглазый, краснозвездный, красноголовый და მისთ. როგორც ვხედავთ, რუსულში შესაბამისი ფუძე კომპოზიტებში გვხვდება მხოლოდ პირველ კომპონენტად. ამიტომ რუსულში სიტყვა-სტატიას „краснощекий“ ქართულ ენაში შეესაბამება „ლოყაწითელი//ლოყაწითელა“, „ლოყებწითელა“, „წითელლოყება“, „წითელლოყებიანი“. როგორც ცნობილია, ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობის გვერდით არის პრეპოზიციული წყობაც და თანამედროვე ქართულის კომპოზიტებში ორივე წყობა თითქმის თანაბრად იხმარება.

ეს კომპოზიტები ზემოთ დასახელებულ თარგმნით ლექსიკონების მიხედვით ერთი ენიდან მეორეზე ორგვარად გადმოიცემა:

1. ზუსტი შესატყვისით: „წითელკანიანი — краснокожий (დათიკ. III)“; „ცხვირწითელი — красноносый (დათიკ. III)“; „ლოყებლაქლაქა — краснощекий (დათიკ. I)“; „წითელვარსკვლავიანი — краснозвездный (დათიკ. III)“; „ფრთაწითელი — красноперый (დათიკ. III)“; „ბოლოწითელი — краснохвостый (დათიკ. I)“ და სხვ.

2. აღწერითი წარმოებით: „წითელკაბა, წითელკაბიანი — одетый в красное платье (დათიკ. III)“; „წითელწინწკლებიანი — в красную крапинку, с красными крапинками (დათიკ. III)“; „სახეგაწითლებული — с покрасневшим лицом (დათიკ. III)“; „წითელქუდა, წითელქუდიანი — 1. (ზღაპარში) красная шапочка. 2. с красной шапкой на голове, в красной шапке (დათიკ. III)“; „წითელპერანგა — в красной рубашке (დათიკ. III)“; „თვალეზაწითლებული — с покрасневшими глазами (от слез и т. д.) (დათიკ. II)“; „თვალეზასისხლიანებული — с налитыми кровью глазами (დათიკ. II)“.

რაც შეეხება ენაში ხმარებულ მყარ გამოთქმებს, ისინიც სხვადასხვაგვარად გადაიცემიან ერთი ენიდან მეორეზე. ყველაზე ხშირია

კალკირების შემთხვევები: „წითელი არმია — Красная Армия (დათიკ. III)“; „წითელი გვარდია — Красная гвардия (დათიკ. III)“; „წითელი დროშის ორდენი — орден Красного Знамени (დათიკ. III)“; „წითელი კუთხე — Красный угол (ок) (დათიკ. III)“; „გარდამავალი წითელი დროშა — переходящее красное знамя (დათიკ. III)“; „წითელი ზოლივით (წითელ ზოლად) არის გატარებული (გავედებული) — красной нитью проходит (დათიკ. II)“; „წითელ მამალს ააფრენს (ბარბარ.): ჟანდარმის როტმისტრმა როენემა წინადადება შეიტანა, ხალხის შესაშინებლად წითელი მამალი ავაფრინოთ. დ. კლდ. (ქმბლ. I)“. რუსულშიც არის გამოთქმა: „пустить красного петуха: На самое воздвижение токарня у него сгорела... В одно слово решили мужики, что лихой человек Трифону красного петуха пустил. Печер. (ССРЛЯ, IX)“.

გვხვდება გამოთქმა რძე და ღვინის ფერი — იტყვიან თეთრ-წითელ, ფეროვან ქალზე: „ლიზას სიახლოვეს იჭდა ორი ყმაწვილი ქალი, — ერთი ქერა და მეორე რძე და ღვინის ფერი. ე. ნინოშ. (ქმბლ. VII)“. რუსულში შესაბამისად გვაქვს „кровь с молоком: На пороге паказалась молоденькая, румяная и пухленькая женщина, отличавшаяся необыкновенной белизной тела, что называется: кровь с молоком. Григор. (ССРЛЯ, V)“. თუმცა რუსულში ეს გამოთქმა იხმარება კაცის მიმართაც: „Господин этот был лет тридцати, плотный, жирный, кровь с молоком. с розовыми губами и с усиками. Дост. (Ушак. I)“. უნივერსიტეტის რუსულ-ქართულ ლექსიკონში ფრაზას **უ него было лицо кровь с молоком** თარგმანი აქვს **ღაჟღაჟი გაუღის**. ასეთივე მნიშვნელობა აქვს პოეზიისათვის დამახასიათებელ გამოთქმას **„как маков цвет: Ты румян, как маков цвет, Я, как смерть, и тощ —, и бледен. Пушк. (ССРЛЯ, VI)“**, „**Лицо твое, как маков цвет. Пушк. (Ушак. I)“**.

წითელი ქარი (გადამდები ავადმყოფობაა, კანისა და ლორწოვანი გარსების ანთება; იწვევს განსაკუთრებული მიკრობი; ხასიათდება კანის დაავადებული მიდამოს შესივებით და გაწითლებით): „ამბობდა — „წითელი ქარიაო“ და ლოცვით უპირებდა განკურნებას. ე. ნინოშ. (ქმბლ. VIII)“. წითელი ქარი დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში თარგმნილია როგორც „**рожа**“ (болезнь). ორივე ენისათვის ამოსავალია წითელი ფერი<sup>39</sup>.

სრულიად განსხვავებული თარგმანი აქვს გამოთქმას: წითელი

<sup>39</sup> იხ. „рожа“-სიტყვის ეტიმოლოგია მ. ფასმერის ლექსიკონში: М. Ф а с - м е р. Этимологический словарь русского языка, III. М., 1971.



**პარასკევი:** „მე დღეს ღვინოს როგორ დავლევ წითელი პარასკევია. აკაკი“ — „**Великая пятница**“ (დ. ჩუბინ.)“.

არ გვხვდება ქართულ-რუსულ ლექსიკონებში ისეთი გამოთქმები, როგორცაა: წითელ პერანგს უკერავს; რა (ისეთი, აღდგომის) წითელი კვერცხია? წითელი კოჭი; წითელ კვერცხს უგორებს; წითელი კვერცხის გორება (ქმბლ. VIII).

თ. სახოკიას ლექსიკონში გვხვდება კიდევ გამოთქმები: წითელ კვერცხს ვერ გაფცქვნის, წითელი კვერცხის დაჭერა, წითელი ძაფი<sup>40</sup>. ამჟამად გამოსაცემად გამზადებულ ერთტომიან რუსულ-ქართულ ლექსიკონში ფრაზას **что ты за цаца такая?**! თარგმანი აქვს: რა წითელი კოჭი შენა ხარ?!

თანამედროვე სალიტერატურო რუსული ენის ჩვილმეტრომიან ლექსიკონში მოცემულია გამოთქმები: **Рисовать, расписывать розовыми красками. Смотреть на что-л. сквозь розовые очки, стекла, сквозь розовую призму:** «(Аня) однако, понимала свое положение и хотела смотреть в свое будущее не сквозь розовую призму. Леск. Окрашивать в розовый цвет что-л.: (Меня) радовало решительно все, я не хотел, я просто даже не мог быть внимательным к чему-нибудь неприятному. Истомленное воображение само... окрашивало все виденное исключительно только в розовый цвет. Гл. Усп. В розовом свете, цвете (видеть, представлять и т. д.): Все мое питерское житье состояло из сплошных приятностей, и немудрено, что я видел все в розовом цвете... Даже Петропавловка мне нравилась. Чех. (ССРЛЯ, XII)“.

უნივერსიტეტის რუსულ-ქართულ ლექსიკონში ამის შესატყვისად გვაქვს — **ყველაფრის საამოდ დანახვა**, ხოლო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არის გამოთქმა: **ვარდისფრად ეჩვენება (ხედავს):** „ერთხანს მეც ეს სოფელი ვარდისფრად მეჩვენებოდა. აკაკი, ან: მაშინ სიხარულის სხივებით იყო მარინე მორთული და ყველაფერი ვარდისფრად ეჩვენებოდა. ვ. ბარნ.“.

**განსხვავებული (აღწერიითი) თარგმანი აქვს შემდეგ გამოთქმებს:**

**Красная дичь:** «Тонкой красной дичи, вроде вальдшнепов и дупелей, я положительно не припомню. Салт. (ССРЛЯ, V) — **ჭაობის ფრინველი (რძლ)“.**

<sup>40</sup> თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, I—III, თბ., 1950—1955.

**Красный зверь:** «Лет полсотни назад, на памяти живых людей еще сплошной стеной стояли леса; и много велось в них дремучего красного зверя: медведей, лося, рысей, куниц. Сок-Микит. (ССРЛЯ, V)»; დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონშია: „მონადირენი ესრეთ უწოდებენ: მგელსა, მელსა, ტურასა და მისთანათა“; სამტომიან რუსულ-ქართულ ლექსიკონში: „მსხვილი ნადირი (დათვი...)“.

**Красная девица:** «И юный хан уж под стеною; Его встречают у ворот Девицы красные толпою. Пушкин. Толпа без красных девушек, что рожь без васильков. Некр. (ССРЛЯ, V) — ლამაზი გოგო, გადატ. მორცხვი: он у нас красная девица — გოგონასავით მორცხვია (რქლ.). პოეტ. ლამაზი გოგო (უნივ.)“.

**Красные дети (ობლ.):** «Детей у Колотухина всего только двое было, сын да дочь — красные дети, как в деревнях говорится. Печер. (ССРЛЯ, V)“ — ქალ-ვაჟი (როცა ორზე მეტი შვილი არა ჰყავთ).

**Красный товар (уст.):** «Мещане в городке юркие, но сытенькие; занимаются они торговлей красным и другим товаром. Горьк. (ССРЛЯ, V)“ — „ფართლეული, ფართლეულობა (უნივ. რქლ.)“.

**Красное словцо:** «Анет, как и напенька, любила сказать красное словцо. Писем.» — „მოსწრებული, კვიმატიანი, მარილიანი სიტყვა, ნაკვესი (რქლ); ტყუვილი, მომატებული სიტყვა (დ. ჩუბინ.)“.

**Красная цена:** «Я полагаю с своей стороны, положи руку на сердце: по восьми гривен за душу — это самая красная цена. Гог. (ССРЛЯ, V)» — „მაქსიმალური ფასი (რქლ.), კარგი ფასი, დიდი ფასი (უნივ.)“.

**Красный фонарь (уст. дорев.)** — „საროსკიპო (უნივ.)“.

ეს აიხსნება იმით, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსულში წითელს აქვს ქართულისაგან განსხვავებული მნიშვნელობები: ლამაზი, ძვირფასი, საუკეთესო, პატივსაცემი და სხვ.

ამრიგად, აქ წარმოდგენილი მასალის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

1) ფერის აღმნიშვნელი ფუძე ქართული ენიდან რუსულში და რუსულიდან ქართულში ძირითადად სამი სახით არის გადმოცემული:

1. ზუსტი შესატყვისით: აგურისფერი — кирпичный, ვარდისფე-

რი — розовый, ლალისფერი — рубиновый, მარჯნისფერი, ძოწის-  
ფერი — коралловый, ულოხფერი — малиновый; რუსული კრო-  
ვავый, кровяной — სისხლისფერი (დ. ჩუბინ. უნივ.) და სხვ.  
2. აღწერითი წარმოებით: სისხლისფერი — цвета крови, კროვა-  
красный; ღვინისფერი — темно-красный, темно-красного цвета;  
ღაღაღა — ярко-красный; რუსული бордо — მუქი წითელი. 3.  
განსაკუთრებული, განსხვავებული აგებულების ფუძით: შვინდისფე-  
რი — вишневый, პირისფერი — розовый, ჟანგისფერი — красно-  
бурый, ჭიაფერი — пунцовый; რუსული медный — ჟანგისფერი  
(უნივ. რქლ) და სხვ.

2) წითელი ფერისა და მის ნაირსახეობათა აღმნიშვნელი უფუძე  
რუსულ ენაში მეტია (37) ვიდრე ქართულში (28).

3) თავის მხრივ კუთვნილებითი და განსაზღვრებითი კომპოზი-  
ტები ქართულ ენაში გაცილებით მეტია (110), ვიდრე რუსულში (32),  
რაც გამოწვეულია ქართულ ენაში კომპოზიციის თავისებურებით.  
სახელდობრ:

ა) ფერის აღმნიშვნელი ფუძე ამ ტიპის კომპოზიტებში წარმოდ-  
გენილია კომპოზიტის როგორც პირველ, ასევე მეორე კომპონენტად  
და ხშირად ქართულ ორ, სამსა და მეტ სალექსიკონო ერთეულს რუ-  
სულში შეესატყვისება მხოლოდ ერთი ერთეული. მაგ. სიტყვებს:  
„ლოყაწითელი||ლოყაწითელა“, „ლოყებწითელა“, „წითელლოყება“,  
„წითელლოყებიანი“ რუსულ ენაში შეესაბამება მხოლოდ ერთი  
სიტყვა „краснощекий“.

ბ) ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ამ ტიპის კომპოზიტო-  
რუსულში საერთოდ ვერ ქმნის სალექსიკონო ერთეულს და გადაიცი-  
მა აღწერითად: წითელკაბა, წითელკაბიანი — одетый в красное  
платье, წითელწინწკლებიანი — в красную крапинку, с красными  
крапинками, წითელპერანგა — в красной рубаше, სახეგაწითლე-  
ბული — с покрасневшим лицом და სხვ.

4) ქართულ-რუსულ ლექსიკონებში არ გვხვდება ქართული ენის  
განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილი ფერის აღმნიშვნელი 28  
სიტყვიდან 10 ერთეული, ხოლო რუსულ-ქართულ ლექსიკონში არ  
გვხვდება 23 ერთეული რუსული ენის განმარტებით ლექსიკონებში  
წარმოდგენილი 37 სიტყვიდან.

5) ფერის ნაკლები ინტენსივობის აღმნიშვნელი ზედსართავებიც  
ქართულში უფრო მეტია. ისინი გადმოიცემიან როგორც პრეფიქსულ-  
სუფიქსური წარმოებით: მოწითალო, წაწითალო, მოვარდისფრო, აგ-  
რეთვე გაორკეცებული ფუძით: წითელ-წითელი, რუსული კი სუ-  
ფიქსური წარმოებით: красноватый, розоватый.